პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი შინაარსის ცვლილებები:

1. **182-ე მუხლის:**

ა) პირველი ნაწილის „დ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ახორციელებს ბუნებრივი აირის (აირისებრ მდგომარეობაში) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას.

ბ) პირველი ნაწილის „დ[1]“ პუნქტი ამოღებული იქნას.

ბ) მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„დ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირი აქციზის გადამხდელად ითვლება მხოლოდ აღნიშნულ ოპერაციებზე.“

2. **184-ე მუხლის პირველი ნაწილის:**

ა) „დ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ბუნებრივი აირის (აირისებრ მდგომარეობაში) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდების მომენტი;

ბ) „დ[1]“ პუნქტი ამოღებული იქნეს

3. **185-ე მუხლის პირველი ნაწილის:**

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ბუნებრივი აირისათვის (აირისებრ მდგომარეობაში) – აირის მოცულობით;“

ბ) „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ[1]“ ქვეპუნქტი:

„ვ[1]) ბუნებრივი აირის კონდენსატისათვის ან/და გათხევადებული ბუნებრივი აირისათვის – წონით;“

4. **188-ე მუხლის**

ა) პირველი ნაწილის ცხრილის მე-5 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ნავთობპროდუქტების აირები და ბუნებრივი აირი (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა)			
2709 00 100 00	– აირის კონდენსატი ბუნებრივი	1 ტ	300
2711 11 000 00	– – ბუნებრივი აირი (გათხევადებული)	1 ტ	300
2711 12	– – პროპანი	1 ტ	300

„5	2711 13	– – ბუტანები	1 ტ	300
	2711 14 000 00	– – ეთილენი, პროპილენი, ბუტილენი და ბუტადიენი	1 ტ	300
	2711 19 000 00	– – დანარჩენი	1 ტ	300
	2711 21 000 00	– – ბუნებრივი აირი (აირისებრ მდგომარეობაში)	1000 მ3	200
	2901 10 000 00	ნახშირწყალბადები აციკლური: — გაჯერებულები	1 ტ	300
	2901 23	– – ბუტენი (ბუტილენი) და მისი იზომერები:	1 ტ	300

ბ) მე-8 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

5. **191-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
   ბ) ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქციზის გადამხდელი

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**